ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური კეთილსინდისიერების წესი სტუდენტებისათვის

1. ზოგადი დებულებები

1.1. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის საკუთარი მისიისა და ღირებულებების შესაბამისად, აკადემიური კეთილსინდისიერება წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად ღირებულებას. უნივერსიტეტის საქმიანობის უმთავრესი კრიტერიუმი და პრიორიტეტია აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დამკვიდრება საგანმანათლებლო და კვლევით პროცესებში. ამასთან, უნივერსიტეტი ორიენტირებულია პლაგიატის პრევენციაზე, როგორც მისი აღმოფხვრის ყველაზე ეფექტურ სტრატეგიაზე.

1.2. აკადემიური კეთილსინდისიერების წესი შექმნილია, განსაზღვრავს და არეგულირებს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების/მსმენელების აკადემიურ კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებულ საკითხებს და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დარღვევისათვის/გადაცდენისთვის ადგენს შესაბამისი პასუხისმგებლობის ზომებს. აკადემიური კეთილსინდისიერების წესი ვრცელდება უნივერსიტეტის სტუდენტებსა და მსმენელებზე.

1.3 ამ წესის მიზნებისათვის სტუდენტად ითვლება: პირი, რომელიც სწავლობს უნივერსიტეტში ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე, პროფესიული განათლების, ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, დიპლომირებული მედიკოსისა ან/და დოქტორანტურის პროგრამებზე და ასევე პირი, რომელსაც უნივერსიტეტთან გაფორმებული აქვს სასწავლო ხელშეკრულება;

1.4. ამ წესის სამართლებრივი საფუძველია საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდება, სტუდენტთა ეთიკის კოდექსი და სხვა კანონქვემდებარე აქტები.

2. აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპები და დაცვის მექანიზმები

2.1. აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპები ემყარება სამართლიანობას, პატივისცემას, პროფესიულ პასუხისმგებლობასა და ნდობას აკადემიურ საქმიანობაში.

2.2. უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და კვლევით პროცესებში აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დამკვიდრებისა და წარმატებულად გამოყენების მიზნით, არსებობს აკადემიური

კეთილსინდისიერების შესახებ ინფორმაციის მიწოდების სხვადასხვა პლათფორმები და რესურსები, როგორიცაა ბაკალარიატის პირველი წლის სტუდენტებისათვის შესაბამისი საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება, უნივერსიტეტში არსებული აკადემიური წერის ცენტრის მიერ სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებული პირებისათვის სემინარების, კონსულტაციების გაწევა, სწავლების ყველა საფეხურისათვის არსებული აკადემიური წერის კურიკულუმი, რომელიც შემუშავებულია აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებზე დაყრდნობით, უნივერსიტეტში მოქმედი ,,აკადემიური სტილის სახელმძღვანელო", რომლის დაცვა და გამოყენება სავალდებულოა სწავლისა და კვლევის ყველა საფეხურზე, ტრენინგები სწავლების პროცესში ჩართული პირებისათვის, პროგრამა Turnitin, რომელიც უზრუნველყოფს ტექსტებს შორის მსგავსების დადგენას და პლაგიატის აღმოჩენას და ხელმისაწვდომია სასწავლო პროცესში ჩართული პირებისათვის. ასევე უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს აკადემიური პერსონალის ჩართულობა სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას, წერილობითი და ზეპირი კომუნიკაციის დროს, აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის და გამოყენების შესახებ ინფორმაციის გავრცელების კუთხით.

3. აკადემიური გადაცდომის სახეები

3.1. აკადემიური გადაცდომა წარმოადგენს აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების მძიმე დარღვევას. არსებობს აკადემიური გადაცდომის სხვადასხვა სახეები, მათ შორის:

ა) **პლაგიატი** - სხვისი ინტელექტუალური შრომის შედეგის, ტექსტის, იდეის, კონცეფციის, ვიზუალური ან/და აუდიო-მასალის, ნებისმიერი სახის მონაცემის მითვისება, თარგმნა, ყიდვა და/ან გავრცელება ავტორის მიუთითებლად;

ბ) **თვით-პლაგიატი** - საკუთარი ნაშრომის სხვა, ახალ ნაშრომში გამოყენება თავდაპირველი წყაროს მიუთითებლად;

გ)**ფალსიფიკაცია** - მონაცემების, ინფორმაციის ან ციტატების გაყალბება, დამახინჯება აკადემიურ ნაშრომში.

დ) **მოტყუება** - სხვისი ინტელექტუალური შრომის შედეგის სხვადასხვა მეთოდით, არაკეთილსინდისიერი გზით მოპოვება, მითვისება, გავრცელება ავტორის თანხმობით ან შეუთანხმებლად და საკუთარ ინტელექტუალურ ნაშრომად წარმოჩენა.

ე) და სხვა შემთხვევები, რაც აღირებულია საერთაშორისო აკადემიურ სფეროებში;

4. აკადემიური გადაცდომის კლასიფიკაცია სიმძიმის კატეგორიების მიხედვით

ა) მსუბუქი გადაცდომა:

- წყაროების არასათანადოდ, არასრულად დამოწმება, მათ შორის არასრული ან არასწორად გაკეთებული ბიბლიოგრაფიული ჩანაწერები, სქოლიოები და/ან ციტატები.
- ხშირი ციტირება;
- რამდენიმე წინადადების პირდაპირი კოპირება წყაროს მითითების გარეშე;
- პარაფრაზირების რამდენიმე შემთხვევა წყაროს მითითების გარეშე;
- და სხვა შემთხვევები, რაც აღირებულია საერთაშორისო აკადემიურ სფეროებში;

ბ) საშუალო სიმძიმის გადაცდომა:

- რამდენიმე აბზაცის, მონაკვეთის გამოყენება წყაროს მითითების გარეშე;
- ნაშრომში პარაფრაზირების ხშირად გამოყენება წყაროს მითითების გარეშე;
- ერთიდაიგივე ნაშრომის სხვადასხვა კურსში/კომპონენტში შეფასების მიზნებისთვის გამოყენება; გამონაკლისს წარმოადგენს საკუთარი ნაშრომის/ების სრულად ან გარკვეული კომპონენტის/ების გამოყენება კომპილაციურ საკვალიფიკაციო ნაშრომში.
- მსუბუქი გადაცდომის ფაქტის გამეორება, როდესაც გადაცდომის შემთხვევაში გატარდა შესაბამისი ღონისძიებები;
- თვით-პლაგიატი;
- ფალსიფიკაცია;
- და სხვა შემთხვევები, რაც აღირებულია საერთაშორისო აკადემიურ სფეროებში;

გ) უხეში გადაცდომა:

- შეძენილი, მოტყუებით მოპოვებული, მოპარული, ინტერნეტ რესურსებიდან ჩამოტვირთული, თუ სხვა მეთოდით/გზით მოპოვებული, სხვის მიერ შესრულებული ნაშრომის წარმოდგენა საკუთარ ნაშრომად;
- მნიშვნელოვანი ოდენობისა და/ან ღირებულების წყაროების გამოყენება მითითების გარეშე;
- ნაშრომში მნიშვნელოვანი ოდენობისა და/ან ღირებულების სხვა ავტორის მოსაზრების, იდეის, ტექსტის პარაფრაზირება წყაროს მითითების გარეშე;
- საშუალო სიმძიმის გადაცდომის ფაქტის გამეორება, როდესაც გადაცდომის შემთხვევაში გატარდა შესაბამისი ღონისძიებები;
- თვით-პლაგიატი;

- ფალსიფიკაცია;
- და სხვა შემთხვევები, რაც აღირებულია საერთაშორისო აკადემიურ სფეროებში;

5. გადაცდომის დადგენის შემთხვევაში დამატებითი გარემოებების გათვალისწინება

ა) მსუბუქი გადაცდომის შემთხვევაში სანქციის დაწესების დროს გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოებები:

- პირი არის ბაკალავრიატის პირველი წლის სტუდენტი; სწავლების საწყის ეტაპზე არ გააჩნია სათანადო კომპეტენცია აკადემიური კეთილსინდისიერების კუთხით; არ არის სრულად ინფორმირებული უნივერსიტეტში არსებული შესაბამისი რეგულაციების, აკადემიური მხარდაჭერის მექანიზმების და სერვისების შესახებ;
- მსუბუქი აკადემიური გადაცდომის პირველი შემთხვევაა;
- სხვა გარემოება, რომელსაც კურსის/კომპონენტის ლექტორი (აკადემიური ან მოწვეული პერსონალი) დამოუკიდებლად ან პროგრამის/მიმართულების/მოდულის ხელმძღვანელთან ერთად არგუმენტირებულად ჩათვლის შემამსუბუქებელ გარემოებად.

ბ) საშუალო სიმძიმის გადაცდომის შემთხვევაში სანქციის დაწესების დროს გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოებები:

- სტუდენტს მიღებული აქვს ინფორმაცია აკადემიური სტილის მნიშვნელოვან წესებზე, გავლილი აქვს შესაბამისი კურსი/კომპონენტი, ინფორმირებულია აკადემიური კეთილსინდისერების პრინციპებისა და მისი დარღვევის შესახებ;
- სტუდენტის გადაცდომა მნიშვნელობითა და ოდენობით საშუალო მასშტაბისაა;
- რამდენად ჰქონდა საშუალო სიმძიმის გადაცდომას ადგილი ადრე;
- სხვა გარემოება, რომელსაც საშუალო სიმძიმის გადაცდომის შემთხვევაში კურსის/კომპონენტის ლექტორი (აკადემიური ან მოწვეული პერსონალი), პროგრამის/მიმართულების/მოდულის ხელმძღვანელთან და სკოლის/ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან შეთანხმებით ჩათვლის შემამსუბუქებელ გარემოებად.

გ) უხეში გადაცდომის შემთხვევაში სანქციის დაწესების დროს გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოებები:

- სტუდენტს მიღებული აქვს ინფორმაცია აკადემიური სტილის წესებზე, გავლილი აქვს შესაბამისი კურსი/კომპონენტი, ინფორმირებულია აკადემიური კეთილსინდისერების პრინციპებისა და მისი დარღვევის შესახებ;
- სტუდენტის გადაცდომა მნიშვნელობითა და ოდენობით დიდი მასშტაბისაა;
- საშუალო ან/და უხეში გადაცდომების ორზე მეტი შემთხვევა;
- სტუდენტის მიერ აკადემიური კეთილსინდისიერების წესების დარღვევა სხვისი ნდობის ბოროტად გამოყენების, ქურდობის, თაღლითობის, მოტყუების, ძალადობისა და მუქარის გზით. ან სხვა ტიპის ზემოქმედებით.

6. გადაცდომის დადგენის შემთხვევაში ინსტიტუციური რეაგირება და სანქციები

6.1. მსუბუქი გადაცდომის შემთხვევაში კურსის/კომპონენტის ლექტორმა (აკადემიური ან მოწვეული პერსონალი) დამოუკიდებლად ან პროგრამის/მიმართულების/მოდულის ხელმძღვანელთან შეთანხმებით:

ა) უნდა მისცეს უკუკავშირი აღმოჩენილ შეცდომებთან დაკავშირებით;

ბ) სტუდენტს განუმარტოს აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპები და საჭიროების შემთხვევაში გადაამისამართოს აკადემიური წერის ცენტრში, კონსულტაციის მისაღებად ან შესაბამის სემინარზე დასასწრებად, რაც აღირიცხება აკადემიური წერის ცენტრის რეესტრში.

გ) გაუნულოს შეფასება.

6.2. ლექტორს შეუძლია მსუბუქი გადაცდომის შემთხვევაში გამოიყენოს როგორც მხოლოდ ერთი სანქცია, ასევე რამდენიმე სანქციის კომბინაცია.

6.3. საშუალო სიმძიმის გადაცდომის შემთხვევაში კურსის/კომპონენტის ლექტორმა (აკადემიური ან მოწვეული პერსონალი), პროგრამის/მიმართულების/მოდულის ხელმძღვანელთან და ფაკულტეტის/სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან შეთანხმებით :

ა) სტუდენტს უნდა მისცეს უკუკავშირი ნაშრომში არსებული შეცდომების შესახებ; ლექტორს ამასთან ევალება აღნიშნული ფაქტი და დაკისრებული სანქციის შესახებ ინფორმაცია აცნობოს ფაკულტეტის/სკოლის დეკანს. ფაკულტეტის/სკოლის დეკანი, განიხილავს საკითხს თვითონ ან

უფლებამოსილია ფაქტის დამატებით შესწავლის მიზნით ფაკულტეტზე/სკოლაში შექმნას კომისია. დეკანი და/ან კომისია საჭიროების შემთხვევაში მიმართავს აკადემიური წერის ცენტრს, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში წარუდგენს დასკვნას. საშუალო სიმძიმის გადაცდომის დადგენის შემთხვევაში საბოლოო გადაწყვეტილების შესახებ დეკანი გამოსცემს ბრძანებას სტუდენტისათვის წერილობითი გაფრთხილების მიცემის შესახებ პირად საქმეში შეტანით, რომელიც რეგისტრირდება შესაბამის რეესტრში.

ბ) სტუდენტს უნდა განუმარტოს აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპები და გადაამისამართოს აკადემიური წერის ცენტრში, კონსულტაციის მისაღებად ან შესაბამის სემინარზე დასასწრებად, რაც აღირიცხება აკადემიური წერის ცენტრის რეესტრში. ლექტორს ამასთან ევალება აღნიშნული ფაქტი და დაკისრებული სანქციის შესახებ ინფორმაცია აცნობოს ფაკულტეტის/სკოლის დეკანს. ფაკულტეტის/სკოლის დეკანი, განიხილავს საკითხს თვითონ ან უფლებამოსილია ფაქტის დამატებით შესწავლის მიზნით ფაკულტეტზე/სკოლაში შექმნას კომისია. დეკანი და/ან კომისია საჭიროების შემთხვევაში მიმართავს აკადემიური წერის ცენტრს, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში წარუდგენს დასკვნას. საშუალო სიმძიმის გადაცდომის დადგენის შემთხვევაში დეკანი იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას და გამოსცემს ბრძანებას სტუდენტისათვის წერილობითი გაფრთხილების მიცემის შესახებ პირად საქმეში შეტანით, რომელიც რეგისტრირდება შესაბამის რეესტრში.

გ) უნდა გაუნულოს შეფასება და აღნიშნული ფაქტი და დაკისრებული სანქციის შესახებ ინფორმაცია აცნობოს ფაკულტეტის/სკოლის დეკანს. ფაკულტეტის/სკოლის დეკანი, განიხილავს საკითხს თვითონ ან უფლებამოსილია ფაქტის დამატებით შესწავლის მიზნით ფაკულტეტზე/სკოლაში შექმნას კომისია. დეკანი და/ან კომისია საჭიროების შემთხვევაში მიმართავს აკადემიური წერის ცენტრს, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში წარუდგენს დასკვნას. საშუალო სიმძიმის გადაცდომის დადგენის შემთხვევაში საბოლოო გადაწყვეტილების შესახებ დეკანი გამოსცემს ბრძანებას სტუდენტისათვის წერილობითი გაფრთხილების მიცემის შესახებ პირად საქმეში შეტანით, რომელიც რეგისტრირდება შესაბამის რეესტრში.

6.4. ლექტორს შეუძლია საშუალო სიმძიმის გადაცდომის შემთხვევაში პროგრამის ხელმძღვანელთან და ფაკულტეტის/სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან შეთანხმებით გამოიყენოს ამ წესის 6.3 პუნქტით გათვალიწინებული როგორც ერთი სანქცია, ასევე რამდენიმე სანქციის კომბინაცია.

6.5. უხეში გადაცდომის შემთხვევაში კურსის/კომპონენტის ლექტორი (აკადემიური ან მოწვეული პერსონალი), ნებისმიერი პირი, რომლისთვისაც ცნობილია აღნიშნულის შესახებ, მიმართავს ფაკულტეტის/სკოლის დეკანს და ფაკულტეტის/სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს. დეკანი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან შეთანხებით საფუძვლიანი ეჭვის არსებობის შემთხვევაში, მიმართავს რექტორს აკადემიური გადაცდომის შემსწავლელი კომისიის შექმნის შესახებ. კომისია იქმნება რექტორის ბრძანებით ყოველ კონკრეტულ შემთხვევაზე.
6.6. კომისია, მხარეთა გამოკითხვის საფუძველზე იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას სანქციის დაკისრების შესახებ და აცნობებს მას რექტორს. რექტორის ბრძანებით დგინდება შემდეგი სანქციები:

ა) აღნიშნულ სასწავლო კურსში/პროგრამის კომპონენტში მიღებული შეფასებების განულება და წერილობითი გაფრთხილება პირად საქმეში შეტანით;

გ) კურსის/პროგრამის კომპონენტის მთლიანი შეფასების განულება.

ბ) სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა;
გ) და სხვა ტიპის სანქცია, რომელიც რეკომენდირებულია კომისიის გადაწყვეტილებით.

6.7. აღნიშნული წესის მიხედვით გადაცდომაზე სანქციის დაკისრების გადაწყვეტილების რეგისტრაცია უნდა მოხდეს შესაბამისი წესით.

7. კომისიის მუშაობის წესი

7.1. კომისია იქმნება მძიმე გადაცდომის ყოველ კონკრეტულ შემთხვევაზე დეკანის წარდგინების საფუძველზე, უნივერსიტეტის რექტორის მიერ.

7.2. სანქციების გამოყენებას ამ წესით გათვალისწინებული გადაცდომის ჩადენისას, კომისია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსაზღვრავს ინდივიდუალურად, ჩადენილი გადაცდომის სიმძიმის, შედეგების, პრეცედენტული ხასიათის, გადაცდომის განმეორებისა და დამატებითი გარემოებების გათვალისწინებით, თუმცა შეუძლია დასაბუთებული გარემოებების არსებობის შემთხვევაში გამოიყენოს მსუბუქი სანქციაც.

7.3. კომისია შედგება: შესაბამისი ფაკულტეტის/სკოლის დეკანის, შესაბამისი ფაკულტეტის/სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, იურიდიული სამსახურის უფროსის, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, აკადემიური წერის ცენტრის ხელმძღვანელის, პროგრამის/მიმართულების/მოდულის ხელმძღვანელისა და შესაბამისი მიმართულების დარგის სპეციალისტისგან/სპეციალისტებისაგან.

7.4. კომისია იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას სანქციის დაკისრების შესახებ. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ეგზავნება რექტორს სანქციის დაკისრების შესახებ ბრძანების გამოცემის მიზნით.

7.5. სტუდენტს მძიმე გადაცდომასთან დაკავშირებული საქმისწარმოების დაწყებისა და კომისიის შექმნის შესახებ გადაწყვეტილება ეცნობება ოფიციალურად უნივერისტეტის ელექტრონული ფოსტის საშუალებით. აღნიშნული ინფორმაციის მიღებისთანავე კომისიის შეხვედრამდე მას უფლება აქვს წარმოადგინოს წერილობითი ახსნა-განმარტება გადაცდომასთან დაკავშირებულ საკითხთან. კომისია განიხილავს სტუდენტის ახსნა-განმარტებას და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას. კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე გამოცემული რექტორის ბრძანება ოფიციალურად ეცნობება სტუდენტს. მას ბრძანების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში აქვს უფლება, გაასაჩივროს აღნიშნული გადაწყვეტილება უნივერსიტეტში.

7.6. სტუდენტის მიერ ამ წესის 7.5. პუნქტში აღნიშნული განაცხადის საფუძველზე, რექტორის გადაწყვეტილებით იქმნება სააპელაციო კომისია, რომელიც აკადემიური გადაცდომის შემსწავლელი კომისიის გადაწყვეტილებას ტოვებს უცვლელად ან იყენებს სანქციის უფრო მძიმე/უფრო მსუბუქ ფორმას. მიღებული გადაწყვეტილება ეცნობება რექტორს, ბრძანების გამოცემის მიზნით.

7.7. აღნიშნული წესი ძალაში შედის მისი დამტკიცებისთანავე და წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია საჭიროებიდან და არგუმენტირებული დასკვნის საფუძველზე შესაბამისი წესის დაცვით. წესის გადახედვა და განახლება მოხდეს ყოველ ხუთ წელიწადში.